სამაგისტრო პროგრამის დასახელება: თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ენათმეცნიერების მაგისტრი / MA in Linguistics

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე

პროგრამის ანალოგები

- ლონდონის უნივერსიტეტი, ლინგვისტიკის დეპარტამენტი
  http://www.soas.ac.uk/studying/courseinfo.cfm?courseinfoid=39

- მონტანას უნივერსიტეტი, ლინგვისტიკის დეპარტამენტი
  http://www.umt.edu/grad/default.htm

- კალიფორნიის უნივერსიტეტი, ლინგვისტიკის დეპარტამენტი
  Department of Linguistics California StateUniversity
  http://www.csulb.edu/depts/ling/masters.htm#general

- ილინოისის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის დეპარტამენტი
  Department of Linguistics University of Illinois
  www.linguistics.uiuc.edu

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი:

სამაგისტო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს არსებითი ცოდნა და კვლევა-ძიების გამოცდილება ზოგადი, შედარებითი და გამოყენებითი ენათმეცნიერების სფეროში. სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს საფუძვლიან მომზადებას ენათმეცნიერების თეორიაში, რომელზე დამყარებითაც მოხდება ლინგვისტიკის გამოყენებითი ასპექტების _ კომპიუტერული ლინგვისტიკის, ექსპერიმენტული ფონეტიკის, სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის _ გაცნობა შესაბამისი კურსების მეშვეობით; ასევე განხორციელდება შედარებითი ლინგვისტიკის დარგების _ ენათა ტიპოლოგიისა და უნივერსალიების, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების, არეალური ლინგვისტიკისა და ენათა კონტაქტების თეორიული საფუძვლების _ შესწავლა და არჩევითი საგნების მეშვეობით მის ერთ-ერთ სფეროში პროფესიული სპეციალიზაცია.

შედეგი

სამაგისტრო კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეიძენენ ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მათ შესაბამის სფეროებში დამოუკიდებელი ორიენტაციისა და კვლევის, საკითხების ორიგინალური დასმისა და შესწავლის, შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. კურსმადთავრებულები მომზადდებიან როგორც თანამედროვე ენათმეციერების ფართო დიაპაზონის სპეციალისტები, რომლებიც ენათა კვლევას შესძლებენ ტიპოლოგიურ პერსპექტივაში როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ასპექტში. გამოყენებითი ასპექტების არჩევის შემთხვევაში მათ შეეძლებათ თავიანთი ცოდნის რეალიზაცია კომპიუტერულ ლინგვისტიკაში, ექსპერიმენტულ ფონეტიკაში, ფსიქოლინგვისტიკაში, სოციოლინგვისტიკაში.

ცოდნა და გაცნობიერება

- თეორიული ენათმეცნიერების ძირითადი პრინციპების, კონცეფციებისა და მეთოდების ცოდნა.
- შედარებითი ენათმეცნიერების ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა.
- კომპიუტერული ლინგვისტიკის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა.

- ექსპერიმენტული ფონეტიკის სფეროში ანალიზის განხორციელებისათვის საჭირო ცოდნა.
- ქართველურ ენათა ძირითადი ტიპოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი და არეალური მახასიათებლების ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

- ენათა ფონოლოგიურ, მორფოსინტაქსურ და სემანტიკურ დონეებზე დამოუკიდებელი ტიპოლოგიური კვლევის უნარი.
- ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ენათა კვლევის უნარი.
- ენათა კონტაქტების და არეალური მიმართებების კვლევის უნარი.
- კომპიუტერული ლინგვისტიკის სფეროში კვლევისა და მუშაობის უნარი
- ენათა ფსიქოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ასპექტების კვლევის უნარი.
- ფონეტიკური ექსპერიმენტების ჩატარების და ანალიზის უნარი

ზოგადი/ტრანსფერული უნარები

- შესაბამისი ლიტერატურიდან ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი.
- ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.
- სამეცნიერო ნაშრომის გაფორმების უნარი.
- უცხო ენაზე სპეციალური ლიტერატურის კითხვისა და ათვისების უნარი.
- საკვლევ სფეროში ემპირიული მასალის მოპოვების უნარი.
- მოპოვებული ემპირიული მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარი.
- ანალიზის შედეგების განზოგადების უნარი.

დასაქმების სფეროები

ზოგადი, შედარებითი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კურსდამთავრებულს შეეძლება კვლევა-ძიება სამეცნიერო დაწესებულებებში. მზად იქნება დოქტორანტურის გასავლელად. მათ შეეძლებათ მუშაობა როგორც კომპიუტერული ლინგვისტიკის სპეციალისტებს, ლოგოპედებს, ლინგვისტური ექსპერტიზის, ფსიქოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის სპეციალისტებს შესაბამის კვლევით და პრაქტიკულ დაწესებულებებში.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ბაკალავრის ხარისხი ფილოლოგიაში (ქართული ენა, ქართველური ენები, კავკასიოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა, დასავლეთ ევროპის ენები, კლასიკური ფილოლოგია); ასევე ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, ინფორმატიკაში.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- გამოცდა სპეციალობაში.
- დამატებით წარმოსადგენი ინფორმაცია:
  მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, პრაქტიკა შესაბამის სფეროში, სტაჟირება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში; ეს წინაპირობები არის სასურველი, მაგრამ არა აუცილებელი; მათ მიეცემა მნიშვნელობა თანაბარ პირობებში უპირატესობის მინიჭებისათვის.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
1.	თეორიული ენათმეცნიერება	სავალდებულო	5
2.	თანამედროვე ლინგვისტური თეორიები	სავალდებულო	5
3.	ენათა უნივერსალიები და ტიპოლოგია	სავალდებულო	10
4.	ქართველურ ენათა ტიპოლოგია	სავალდებულო	5
5.	დიაქრონიული ენათმეცნიერება	სავალდებულო	5
6.	კომპიუტერული ლინგვისტიკა	სავალდებულო	5
7.	მორფოსინტაქსის თეორია	სავალდებულო	5
8.	სემანტიკის თეორია	სავალდებულო	5
9.	კოგნიტიური ლინგვისტიკა	სავალდებულო	5
10.	ექსპერიმენტული ფონეტიკა	სავალდებულო	5
11.	ტექსტის ლინგვისტიკა	არჩევითი	5
12.	ლინგვოპრაგმატიკა	არჩევითი	
13.	ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა	არჩევითი	
14.	კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგია	არჩევითი	
	პრაქტიკა		
	საკურსო ნაშრომი		
	სამაგისტრო ნაშრომი		30
	სულ		**120**

კვლევითი კომპონენტი

ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკაა: ლინგვისტური სემიოტიკა, ფონოლოგია, მორფოსინტაქსი, სემანტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ფონოლოგიისა და მორფოსინტაქსის თეორია, ექსპერიმენტული ფონეტიკა, შედარებითი ენათმეცნიერების დარგები: ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, არეალური ლინგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა;
ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა აისახა მათ მიერ განხორციელებულ პროექტებში.
პროგრამაში მონაწილე თანამშრომლები მონაწილეობდნენ შემდეგ პროექტებში:

რუსთაველის სამეცნიერო ფონდი: “ქართველურ ენათა ძირითადი საინფორმაციო სტრუქტურები” პროექტის ძირითადი შემსრულებელი, 2006-2009.
რუსთაველის სამეცნიერო ფონდი: პროექტი 07-1086-1-120 “გლოტალიზაციის ნიშანი ქართველურ ენებში აკუსტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით”; 2008-2010.

რუსთაველის სამეცნიერო ფონდი პროექტი: „ქართული ენის თესაურუსი (მასალები ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონისთვის“ 2009-1012.
ჩამოთვლილი პროექტებიდან ჩანს პროგრამის მონაწილეთა კომპეტენცია თეორიული და შედარებითი ლინგვისტიკის სხვადასხვა სფეროებში. მაგისტრანტები მონაწილეობას მიიღებენ ინსტიტუტში ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის სფეროში განხორციელებულ კვლევით საქმიანობაში.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
სამაგისტრო ნაშრომი შესრულდება თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტის ბაზაზე. ინსტიტუტს აქვს 3 კომპიუტერი და ერთი პრინტერი. ინსიტუტში არსებობს ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა. მაგისტრანტი უზრუნველყოფილი იქნება საჭირო სამეცნიერო ლიტერატურით.

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში:

გამოცდა სპეციალობაში ჩატარდება წერითი სახით. წერითი ნამუშევარი შეფასდება 100 ქულიანი სისტემით. საგამოცდო ბილეთი შეიცავს 4 საკითხს, თითოეული საკითხი ფასდება 25 ქულით.
გამოცდა შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პასუხის სისრულე -5
- მასალის ფლობა -5
- ლოგიკური მსჯელობა -5
- ორიგინალობა -5
- წერის კულტურა -5

საგამოცდო საკითხები
ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი
1. ენის ფუნქციები
2. ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, ენათმეცნიერება და სემიოტიკა; ენობრივი ნიშნის მოტივირებულობა/არამოტივირებულობის საკითხი
3. ენისა და მეტყველების დიქოტომია
4. ენა და საზოგადოება; ენა, დიალექტი, იდიოლექტი; ტერიტორიული და სოციალური დიალექტები; ლინგვისტური გეოგრაფია
5. სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერება
6. აღწერითი და შედარებითი ენათმეცნიერება
II ენა, როგორც იერარქიული სტრუქტურა; ენობრივი დონეების ურთიერთმიმართება
1. ფონეტიკა და ფონოლოგია; ბგერა და ფონემა.
2. არტიკულაციური და აკუსტიკური ფონეტიკა
3. ხმოვანთა არტიკულაციურ-აკუსტიკური დახასიათება
4. თანხმოვანთა არტიკულაციურ-აკუსტიკური დახასიათება
5. ბგერათშეერთებები და კოარტიკულაცია. ბგერათა ფონეტიკური ცვლილებები.
6. ფონოლოგიური ანალიზის პრინციპები; ფონემა და ალოფონი. დისტრიბუციული ანალიზის პრინციპები ფონოლოგიაში
7. ფონოტაქტიკა, მორფონოლოგიის საკითხები.
8. დიაქრონიული ფონეტიკური ცვლილებები; კომბინატორული და სპონტანური ფონემური ცვლილებები.
9. მორფოლოგია; მორფემის ცნება; თავისუფალი და ბმული მორფემები.
10. მორფოლოგიური ანალიზის პრინციპები, მორფემა და ალომორფი.
11. სინტაქსი. წინადადების აქტანტური სტრუქტურა.

12. უშუალო შემადგენელთა მეთოდი სინტაქსში
13. ტრანსფორმაციული გრამატიკა
14. სემანტიკური ანალიზის პრინციპები; სემა და სემანტემა. სემანტიკური ველების თეორია

III შედარებითი ენათმეცნიერება

1. ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები
2. ენათა მორფოლოგიური ტიპოლოგია (ანალიზური, სინთეზური, პოლისინთეზური კონსტრუქციების ტიპოლოგია; აგლუტინაციურ და ფლექსიურ/ფუზიურ კონსტრუქციათა ტიპოლოგია)
3. ენათა სინტაქსური ტიპოლოგია (ნომინატიურ, ერგატიულ და აქტიურ კონსტრუქციათა ტიპოლოგია; კონსტრუქციათა თანაარსებობის კანონზომიერებები)
4. ენათა შესწავლის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი (რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა კრიტერიუმი)
5. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია
6. ენათა კონტაქტები და არეალური ლინგვისტიკა; ენათა კავშირის ცნება

IV ენათმეცნიერების ახალი ინტერდისციპლინარული და გამოყენებითი დარგები

1. სოციოლინგვისტიკა
2. ფსიქოლინგვისტიკა
3. გამოყენებითი ენათმეცნიერება

ძირითადი ლიტერატურა:

- გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1999 (მეორე გამოცემა).
- თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2003.
- ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახვლედიანის რედაქციით, თბილისი, 1972.
- გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 2003 (მეორე გამოცემა).

დამხმარე ლიტერატურა:

- ო. კაპანაძე, კომპიუტერული ლინგვისტიკის შესავალი, თბილისი, 2005.
- გ. ლებანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, 2004.
- ფ. დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი (თარგმანი ფრანგულიდან), თბილისი, 2002
- Э. Бенвенист, Общая лингвистика, М. 1974.
- Дж. Гринберг, Квантитативный подход к морфологической классификации языков, Новое в лингвистике, 3, 1963.
- Дж. Лайонз, Введение в теоретическую лингвистику, Москва, 1978.
- В. Ф. Плунгян, Общая морфология, М. 2000.
- Л. Теньер, Основы структурного синтаксиса, Москва, 1988.
- Н. С. Трубецкой, Основы фонологии, М. 1960.
- Н. Хомский, Аспекты теории синтаксиса, Москва, 1972.
- Языковые универсалии, Новое в лингвистике,V, М. 1970.
- Р.Якобсон, М. Халле, Фонология и ее отношение к фонетике, Новое в лингвистике, 2, 1962
- N.Chomsky,The Minimalist Program,Cambridge, Massachusetts, 1995.
- B.Comrie, Language Universals and Linguistic Typology, Chicago, 1989 (2nd edition).
- W. Croft, Typology and Universals,Cambridge, 2003 (2nd edition).
- R. M.W. Dixon, Ergativity, Cambridge Studies in Linguistics, Cambridge, 1998.
- R. Jakobson, Selected Writings, I, 1962.
- Ladefoged, A Course in Phonetics, New York, 1982 (2nd edition).
- R. D. Van Valin, A Synopsis of Role and Reference Grammar, in: Advances in role and reference
- Grammar,ed.R. D. Van Valin,Current Issues in Linguistic Theory, Amsterdam/ Philadelphia, 1993.